

ფესვის სიდამპლეები (გამოწვეული Fusarium-ით, Rhizoctonia-თი, Verticillium-ით და ა.შ.)



სიმპტომები: დაავადებულ მცენარეს ფესვები ულპება, ფოთლები უყვითლდება და ჭკნება. შეინიშნება როგორც აღმონაცენებზე, ისე მოზრდილ მცენარეებზე. ფესვის ყელთან წარმოიქმნება შესაბამისი გამომწვევი სოკოს ნაყოფიანობა. ჭკნობა გვხვდება სხვა ბოსტნეულ კულტურებზე და ხე-მცენარეთა ნერგებზე.

გამომწვევი: დაავადებას იწვევენ სხვადასხვა სოკოები: Fusarium-i, Rhizoctonia, Verticillium-i და ა.შ. ჭკნობა შეიძლება გამოიწვიონ ბაქტერიებმაც. ხელშემწყობი პირობები: იგივე, რაც პითიუმის შემთხვევაში. ბრძოლა: იგივე, რაც პითიუმის შემთხვევაში.